საქმე # 330100118002549716

საქართველოს უზენაესი სასამართლო
განაჩენი
საქართველოს სახელით

საქმე №732აპ-19 ქ. თბილისი
კ------ დ------, 732აპ-19 24 თებერვალი, 2020
წელი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მამუკა ვასაძე (თავმჯდომარე),
შალვა თადუმაძე, მერაბ გაბინაშვილი

სხდომის მდივან - კონსტანტინე თოდრიას
პროკურორების - ალიკა დვალაშვილის, ანა ლეკიაშვილის
ადვოკატ - ვ---------- მ-------------ს
მსჯავრდებულ - დ------ კ------ს
თარჯიმნების - ლ----- გ--------------ს, მ----- პ--------ს, მ--- ჯ---------ს

მონაწილეობით დახურულ სხდომაზე განიხილა მსჯავრდებულ დ------ კ------ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ---- მ-------------ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 17 ივნისის განაჩენზე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტით, 209-215-ე მუხლებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3^{1} ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 17 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ანა ლეკიაშვილსა და მსჯავრდებულ დ------ კ------ს შორის;

4. დ------ კ------ ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით შეეფარდოს ჯარიმა - 10 000 (ათი ათასი) ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

5. დ------ კ------ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის პერიოდი და სასჯელის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან - 2018 წლის 1 ივნისიდან;

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 17 ივნისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

7 განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

თავმჯდომარე მ. ვასაძე

მოსამართლეები: შ. თადუმაძე

მ. გაბინაშვილი